ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7762718

ნომერი: AR11122896

თარიღი : 24.12.2025

გაცემის თარიღი : 31.12.2025

გაცნობის თარიღი : 09.01.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ჰაინრიხ კლაპროთის ქუჩა, N39; იან ჰომერის ქუჩა, N10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 14 ნოემბრის №7703730 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 24 დეკემბრის №AR11122896 განცხადებით მომართა გიორგი ჭუმბურიძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის

14 ნოემბრის №7703730 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 14 ნოემბრის №7703730 ბრძანებით, №01.72.14.040.899 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2025 წლის 14 ნოემბრის №7703730 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 3722.3 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 4286.1 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 642.6 კვ.მ-ის ნაცვლად 725.6 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი ფართობი 783.1 კვ.მ-ის ნაცვლად 436.3 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 683.7 კვ.მ-ის ნაცვლად 1030.5 კვ.მ., საერთო ფართობად 5845.9 კვ.მ-ის ნაცვლად 6492.7 კვ.მ., შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 14 ნოემბრის №7703730 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 4286.1 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 725.6 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 436.3 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად: 1030.5 კვ.მ., საერთო ფართობად: 6492.7 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 14 ნოემბრის №7703730 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 14 ნოემბრის №7703730 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.